ხელშეკრულება №03/10

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ონი 10 ოქტომბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისი გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით და მეორე მხრივ შპს "ნიუ არტი", მისი დირექტორის გიორგი ტალახაძის (შემდგომში "მიმწოდებელი") სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10 მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს **ქ. ონში, სბავშო ბაღის შემოღობვის სამუშაოები (CPV–45300000).**

2.2. შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, ხელშეკრულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფი, რომელიც შემსრულებლის წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს შესრულებული სამუშაოების მოცულობებს, მათ ხარისხს და პროექტთან შესაბამისობას, რის შესახებაც ადგენს აქტს.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

3.3 ხელშეკრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას გაუწევს შემსყიდველის მიერ დადგენილი პირი, რომელიც ამოწმებს სამუშაოს ხარისხს და მოცულობას.

3.4 შესყიდვის ობიექტის შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი (10 დღის ვადაში).

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მოცემული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.3 ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი სამუშაოები შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება.

4.4 სამუშაოს დასრულების შემდგომ ორი წლის განმავლობაში მიმწოდებლის მიზეზით გამოვლენილ დეფექტებს შეაკეთებს ანაზღაურების გარეშე ან შეცვლის ახლით.

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადების დღიდან **45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში;**

4.6 სამუშაოს შესრულებას დაიწყებს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან მაქსიმუმ 10 (ათი) დღის ვადაში.

4.7 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.

4.7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ხელმოწერის დღეს 2 (ორი) თვის ვადით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

(ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიღების აქტის მიხედვით).

5.2 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული იქნება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მიერ (მომსახურების ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი) და სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე;

5.3 ექსპერტიზის, მიერ შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. (15 დღის ვადაში)

5.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზების მითითებით.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება გადარიცხვით;

6.2 წინასწარი ანგარიშსწორება მხარეთა შორის იწარმოებს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ფარგლებში, საბანკო გარანტის წარმოდგენის საფუძველზე;

6.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ ანგარიშსწორების საბანკო ან სადაზღვევო გარანტია უნდა აღემატებოდეს სამუშაოს დასრულების ვადას 30 დღით;

6.4 საბანკო გარანტია დაუბრუდება მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე შესრულებული სამუშაოს დასრულების შემდგომ, 15 დღის ვადაში;

7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

8.ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება

8.1 ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს **34 430 (ოცდათოთხმეტი ათას ოთხასოცდაათი) ლარს.**

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

---

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

11.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ წერილობით

უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილება მეორე მხარეს, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტი. შემსრულებელი თუ 20 დღის განმავლობაში არ აღმოფხვრის გრაფიკიდან ჩამორჩენას

შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

13.2 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

13.3. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი მონაცემები აღმოჩნდება ყალბი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

14.ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება

ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების გზით მოაგვარონ უთანხმოება.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას მაშინ მათ უფლება აქვთ დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონების მიხედვით.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 მიწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

გიორგი ლობჯანიძე

ქ.ონი, დავით აღმაშენებლის №1

ს/კ №237978275

საქ. "ლიბერთი ბანკის" ონის ფილიალი

ბ.კ.**LBRTGE22**

ა/ა №**GE62LB0120115527055000**

<u>მიმწოდებელი:</u>

შპს "ნიუ არტი":

/გიორგი ტალახაძე/

ქ. ქუთაისი, ცეჩელაშვილის ქ. 43

ელ.მის.: **mr.gogla11@yahoo.com**, ტელ.: 574 450083

ს/კ 412680889

სს "თი ბი სი ბანკი"

ა/ა №GE33TB7364436080100001

ბ.კ.**TBCBGE22**

ქ. ონის საბავშვო ბაღის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზ.	რაო-ბა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
	შემოღობვის სამუშაოები							
	არსებული ლითონის ღობის დემონტაჟი	გრძ.მ	264,5	0	0,0	1,5	396,8	396,8
	მიწის გაჭრა ცოკოლის ჩასასხმელად და ყალიბის მოწყობა 0,25X0,25	გრძ.მ	264,5	3	793,5	3	793,5	1587,0
	ყალიბის ფიცარი	მ3	0,5	450	225,0	0	0,0	225,0
	შემოღობვის ცოკოლის მოწყობა	გრძ.მ	264,5	4	1058,0	5	1322,5	2380,5
	ბაღის ტერიტორიის შემოღობვა ბეტონის ფილებით	გრძ.მ	264,5	49	12960,5	25	6612,5	19573,0
	სამშენებლო ნარჩენების დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში	ტ	10	0	0,0	40	400,0	400,0
	ჯამი				15037,0		9525,3	24562,3
	სატრანსპორტო ხარჯები	6%						902,2
	ჯამი							25464,5
	ზედნადები ხარჯები	4%						1018,6
	ჯამი							26483,0
	გეგმიური დაგროვება	8%						2118,6
	ჯამი							28601,7
	დღგ	18%						5148,3
	ჯამი							33750,0
	ექსპერტიზის დასკვნის მომსახურება							680,0
	ჯამი							34430

შემსყიდველი: ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

გამგებელი: გიორგი ლობჯანიძე

მიმწოდებელი: შ.პ.ს. "ნიუარტი"

დირექტორი: გიორგი ტალახაძე